საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.15.05.003.006*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი882011218977
მიწის ნაკვეთის ფართობი: *1417* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 14.06.11



შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
ვალდებულება
საზიარო ნაგებობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
მშენებარე ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამ. 89/24 ტელ (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

6 Nov 2022 at 14:38:19
Brothers Kakabadzeebi Street
Tbilisi
Georgia

6 Nov 2022 at 14:37:57
Brothers Kakabadzeebi Street
Tbilisi
Georgia

6 Nov 2022 at 14:38:07
Brothers Kakabadzeebi Street
Tbilisi
Georgia

მთლიანი ფასადის მოცულობა-35კვ.მ
სარეკლამო აბრების განთავსების არეალი-2.4კვ.მ
რაც მთლიანია ფასადის 6.9%-ია



სარეკლამო Light box
ქართული და ინგლისური წარწერით

არსებული სტიკერი მოიხსნება

ფასადზე ლაითბოქსის განთავსების ადგილზე, ლაითბოქსის დასამაგრებლად სამაგრი არსებულია, რომელიც უცვლელად იქნება გამოყენებული რეკლამის განსათავსებლად

3.9 მ

0.609მ

ფრაიდეი Fryday

ფრაიდეი Fryday

შენობის ფრაგმენტის გეგმა (საპროექტო არეალი)

1 : 50



ი.მ სალომე ანდღულაძე

პროექტის სახელი

მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (სარეკლამო აბრის მოწყობა)

მისამართი

ქ. თბილისი, ძმ კაკაბაძეების ქ. #2

დამკვეთი

ვასილ უსენაშვილი

II კლასის პროექტი

მასშტაბი 1 : 50

ფორმატი A4

თარიღი 20.11.2022

ფურცლის სახელი

შენობის ფრაგმენტის გეგმა (საპროექტო არეალი)

ფურცლის # 3

არქიტექტორი სალომე ანდღულაძე

საპროექტო ფასადი



ი.მ სალომე ანდღულაძე

პროექტის სახელი

მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (სარეკლამო აბრის მოწყობა)

მისამართი

ქ. თბილისი, ძმ კაკაბაძეების ქ. #2

დამკვეთი

ვასილ უსენაშვილი

II კლასის პროექტი

მასშტაბი 1 : 50

ფორმატი A4

თარიღი 20.11.2022

ფურცლის სახელი

საპროექტო ფასადი

ფურცლის # 4

არქიტექტორი სალომე ანდღულაძე

ჭრილი

1 : 50



ი.მ სალომე ანდღულაძე

პროექტის სახელი

მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (სარეკლამო აბრის მოწყობა)

მისამართი

ქ. თბილისი, ძმ კაკაბაძეების ქ. #2

დამკვეთი

ვასილ უსენაშვილი

II კლასის პროექტი

მასშტაბი	1 : 50
ფორმატი	A4
თარიღი	20.11.2022

ფურცლის სახელი

ჭრილი

ფურცლის #

5

არქიტექტორი სალომე ანდღულაძე

სამუშაოების გეგმა-გრაფიკი				
N	სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე		
	დღე	10	20	30
1	აბრის დამზადება			
2	აბრის მოწყობა			

შეადგინა: ს.ანდღულაძე

20.11.2022

ქ.თბილისი 01.11.2022წ

ქვეიჯარის ხელშეკრულება

ერთი მხრივ, შპს „მონო ჰოლ თბილისის“ (ს/კ404626525) დირექტორი გაგა ივანური (პ/ნ01017047976) (შემდგომში „ქვემეიჯარე“) და მეორე მხრივ შპს „ფრაიდეის“ (ს/კ 405452898) დირექტორი ვასილ უსენაშვილი (პ/ნ01031003965) (შემდგომში „ქვემოიჯარე“) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ჩვენსა და სს „სინემა კლუბს“ (ს/ნ203864014) შორის 2022 წლის 12 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებისა (3.1.2. პუნქტი) და მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, „ქვემეიჯარე“ იჯარით გადასცემს, ხოლო „ქვემოიჯარე“ თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით დროებით სარგებლობაში ქვეიჯარით იღებს საოფისე ფართს, მდებარე - ქ.თბილისი, ძმ. კაკაბაძეების ქ. #2, „კინო სახლი“ საკადასტრო კოდი: 01.15.05.003.006. შენობა-ნაგებობა #1/3, პირველი სართული - 34,42 კვ.მ, სწრაფი კვების ობიექტის გასახსნელად.

1.2. „ქვემოიჯარისათვის“ სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ნივთის მახასიათებლებია:

1.2.1. „საიჯარო ქონება“ („იჯარის ობიექტი“) - ხელშეკრულების საგანი, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე - საქართველო, ქალაქი თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქუჩა (ყოფილი ლეონიძე) N2. (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.15.05.003.006, შენობა-ნაგებობა #1/3, პირველი სართული - 34,42 კვ.მ.).

1.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.3.1. „ქვემეიჯარე“ - შპს „მონო ჰოლ თბილისი“ (გამქირავებელი);

1.3.2. „ქვემოიჯარე“ - შპს „ფრაიდეი“ (დამქირავებელი);

1.3.3. „მესაკუთრე“ - აარპ „საქართველოს კინოაკადემია“ ;

1.3.4. „მხარე“ - ქვემეიჯარე ან/და ქვემოიჯარე კონტექსტის შესაბამისად;

1.3.5. „მხარეები“ - ქვემეიჯარე და ქვემოიჯარე ერთდროულად;

1.3.6. „მესამე პირი“ - ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, მხარეების გარდა;

1.3.7. „საიჯარო პერიოდი“ - იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც განისაზღვრება - 2022 წლის 01 ნოემბრიდან - 2027 წლის 01 მაისამდე.

1.3.8. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი მნიშვნელობა.

1.4. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „ქვემეიჯარე“ მოვალეა დროებით სარგებლობაში გადასცეს „ქვემოიჯარეს“ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2.1 პუნქტით განსაზღვრული ქონება, ხოლო „ქვემოიჯარე“ მოვალეა გადაუხადოს „ქვემოიჯარეს“ დათქმული საიჯარო ქირა.

2. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი:

2.1. მხარეთა შეთანხმებით „ქვემოიჯარე“ ვალდებულია „ქვემეიჯარეს“ გადაუხადოს იჯარის საფასური შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

1. 01.11.2022 წლიდან - 01.11.2023 წლამდე პერიოდში ყოველთვიურად 1 200$ (ათას ორასი) აშშ დოლარის ოდენობით ექვივალენტი ლარში, სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით.
2. 01.11.2023 წლიდან - 01.11.2024 წლამდე პერიოდში ყოველთვიურად 1 320$ (ათას სამას ოცი) აშშ დოლარის ოდენობით ექვივალენტი ლარში, სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით.
3. 01.11.2024 წლიდან - 01.11.2025 წლამდე პერიოდში ყოველთვიურად 1 450$ (ათას ოთხას ორმოცდაათი) აშშ დოლარის ოდენობით ექვივალენტი ლარში, სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით.
4. 01.11.2025 წლიდან - 01.11.2026 წლამდე პერიოდში ყოველთვიურად 1 595$ (ათას ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი) აშშ დოლარის ოდენობით ექვივალენტი ლარში, სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით.
5. 01.11.2026 წლიდან - 01.05.2027 წლამდე პერიოდში ყოველთვიურად 1 750$ (ათას შვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარის ოდენობით ექვივალენტი ლარში, სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით.

2.2 გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველი თვის 01 რიცხვამდე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

2.3. პირველი თვის გადახდა უნდა განხორციელდეს 2022 წლის 01 ნოემბრამდე 1200 $ (ათას ორასი) აშშ დოლარის ოდენობით ექვივალენტი ლარში ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

2.4. „ქვემეიჯარე“ ზემო ხსენებული ჩარიცხვების შესახებ ინფორმაციას, ინვოისის სახით მეილზე ოფიციალურად გადაუგზავნის „ქვემოიჯარეს“.

3. გარანტიები და საიჯარო ქონებასთან დაკავშირებული უფლებები:

3.1. მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

3.1.1. „ქვემეიჯარე" წარმოადგენს საიჯარო ქონების კანონიერ და იურიდიულად გაფორმებულ მოიჯარეს (რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს „საიჯარო ქონებას").

3.1.2. „საიჯარო ქონება" არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო;

3.1.3. „ქვემეიჯარე" აცხადებს, რომ „საიჯარო ქონება" არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.

3.1.4. „მხარეებს" გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება იკისრონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით;

3.2. „ქვემოიჯარეს" არ შეუძლია საიჯარო ქონება გადასცეს მესამე პირს ქვეიჯარით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

<u>4.1. „ქვემეიჯარე" ვალდებულია:</u>

4.1.1. დროულად გადასცეს „ქვემოიჯარეს" „საიჯარო ქონება" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის, გამოთავისუფლებულ/თავისუფალ მდგომარეობაში.

4.1.2. უზრუნველყოს ,,ქვემოიჯარის" მიერ იჯარის ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4.1.3. აცნობოს „ქვემოიჯარეს" საიჯარო ქონების ყველა ნაკლის შესახებ და გაუწიოს ინფორმაციული ხასიათის დახმარება „საიჯარო ქონების" უკეთ გამოყენების მიზნით.

4.1.4. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

4.1.5. მოსთხოვოს „ქვემოიჯარეს" წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვა.

4.1.6. მოითხოვოს „ქვემოიჯარის" მხრიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

4.1.7. „ქვემეიჯარე" უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს „ქვემოიჯარესთან" ხელშეკრულება, თუ „ქვემოიჯარე" ხელშეკრულების 2.1, 2.2 და 2.3 პუნქტების

თანახმად მოახდენს საიჯარო ქირის გადახდისა და შესაბამისი პირგასამტეხლოს დაკისრების გადახდევინების 10 დღით დაგვიანებას.

4.1.8."ქვემეიჯარე" ვალდებულია მომიჯნავე ფართის გაქირავების შემთხვევაში, ისეთი ტიპის სწრაფი კვების ობიექტზე არ მოახდინოს ტერიტორიის დათმობა, რომელთა ძირითადი კერძები იქნება ჰოთ დოგი და კარტოფილი ფრი.

<u>4.2. "ქვემოიჯარე" ვალდებულია:</u>

4.2.1. გამოიყენოს „საიჯარო ქონება" მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად და არ დაუშვას მისი ფუნქციის შეცვლა.

4.2.2. აუნაზღაუროს „ქვემეიჯარეს" ყოველგვარი ზიანი, რომელიც მიადგება საიჯარო ქონებას" „ქვემოიჯარის" მხრიდან არამართლზომიერი ქმედების შედეგად.

4.2.3. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა „საიჯარო ქონების" დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „ქვემეიჯარეს" და მისი მითითების შესაბამისად აღმოფხვრას დაზიანება საკუთარი ხარჯებით.

4.2.4. გადაიხადოს საიჯარო ქირა ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით.

4.2.5. „ქვემეიჯარეს" ყოველთვიურად გადაუხადოს კომუნალური გადასახადები, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ინდივიდუალური მრიცხველით. აღნიშნული გადახდის დრო არ დაემთხვევა საიჯარო ქირის გადახდის დროს. „ქვემეიჯარე" „ქვემოიჯარეს" თავის მხრივ წარუდგენს შესაბამისი გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4.2.6. „ქვემეიჯარესთან" შეთანხმების გარეშე არ განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რაც გამოიწვევს „საიჯარო ქონების" მნიშვნელოვან ცვლილებას, მათ შორის მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია, ფასადის იერსახის შეცვლა და სხვა.

4.2.7. უზრუნველყოს კვების ობიექტის გამართულად ფუნქციონირება, რაც გამოიხატება იჯარის ობიექტზე კარგი ხარისხის გამწოვის დაყენებით, რომელიც უზრუნველყოფს კლუბის ტერიტორიაზე საკვების სუნის გავრცელების თავიდან არიდებას.

4.2.8. ქვემოიჯარეს იჯარის ობიექტზე ეკრძალება ყველანარი ალკოჰოლური სასმლის რეალიზაცია, მათ შორის ლუდის გაყიდვა.

4.2.9. „ქვემოიჯარე" უფლებამოსილია დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი ხელმყოფისაგან.

4.2.10. „ქვემოიჯარე" ვალდებულია „საიჯარო ქონება" ჩააბაროს და უკან დაუბრუნოს „ქვემეიჯარეს" ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით.

4.2.11. „ქვემოიჯარე“ ვალდებულია ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში „ქვემეიჯარეს“ წერილობით აცნობოს 2 თვით ადრე. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში იგი კისრულობს ვალდებულებას ჯარიმის სახით „ქვემეიჯარეს“ გადაუხადოს 2 თვის ქირა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი.

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2022 წლის 1 ნოემბრიდან - 2027 წლის 01 მაისამდე.

5.2. „ქვემეიჯარეს“ შეუძლია მისი მხრიდან წინასწარ წერილობით შეტყობინებით ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება იმ შემთხვევებში თუ:

5.2.1. “ქვემოიჯარე” უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.2. „ქვემოიჯარე“ ხელშეკრულების 2.1, 2.2 და 2.3 პუნქტების თანახმად მოახდენს საიჯარო ქირის გადახდისა და შესაბამისი პირგასამტეხლოს დაკისრების გადახდევინების 10 დღით დაგვიანებას.

5.3. საიჯარო ქირის გადახდისთვის ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში „ქვემეიჯარე“ უფლებამოსილია დააკისროს „ქვემოიჯარეს“ პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, რომელიც დაკისრების შემთხვევაში გადაიხდება ძირითად საიჯარო ქირასთან ერთად.

5.4. “ქვემოიჯარე” განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს „საიჯარო ქონების“ მდგომარეობას, რითაც შესაძლოა ზიანი მიადგეს “ქვემეიჯარეს”.

5.5. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგად.

5.6. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვევმა მხარემ უნდა აუზღაურებს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

5.7. მხარეები ვალდებულებას იღებენ დაუყონებლივ მიაწოდონ ერთმანეთს ყოველი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, კერძოდ აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი უფლებრივი თუ სხვა სახის რისკების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქონების განადგურება,

დაზიანება, საწვავთო ან/და სხვა უფლებებით დატვირთვა რაც შეუძლებელს გახდის ან/და გაართულებს იჯარის ობიექტით სარგებლობას.

6. ფორს-მაჟორი.

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „ქვემეიჯარის“ ან/და „ქვემოიჯარის“ შეცდომებთან, დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

6.3. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, სტიქიური უბედურება, პანდემია, საგანგებო მდგომარეობა, აქციები, აჯანყება, ომი და საომარი მოქმედებანი, ხელისუფლების მიერ მიღებული ამკრძალავი ნორმების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების ზეგავლენით, სრული ლოქდაუნის დროს, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს.

6.4. „ფორს-მაჟორული“ გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

6.5. მხარე, რომელიც განაცხადებს „ფორს-მაჟორული“ პირობების არსებობას, ვალდებულია დაამტკიცოს ამ პირობების რეალურობა და პირდაპირი კავშირი.

7. დამატებითი პირობები:

7.1. მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს ამ უფლების უარყოფას.

7.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პირობების სრულ ბათილობას.

7.3. მხარეები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ შეთანხმებას. ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა თითოეულ მხარეს, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წინამდებარე ხელშეკრულების დარეგისტრირების მიზნით.

8. კორექსპოდენციები, შეტყობინებები და მხარისათვის შეტყობინების ჩაბარების წესი

8.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სახის ურთიერთობაში კორესპოდენციებისა და შეტყობინებების მისაღებად გამოიყენებენ შემდეგ მისამართს:

- „ქვემეიჯარე" - საქართველო, ქალაქი თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქუჩა (ყოფილი ლეონიძე) N2;

- „ქვემოიჯარე" - საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპ.#16, ბ. #33;

8.2. მხარეები მოვალენი არიან აცნობონ ერთმანეთს თავიანთი მისამართის ცვლილების შესახებ, მისამართის ცვლილებიდან 02 დღის ვადაში. ასეთი ცნობის უქონლობისას შეტყობინება გაიგზავნება მხარისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე.

8.3. კორესპოდენციები და შეტყობინებები შესაძლოა მხარემ (მხარის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა), ჩააბაროს მეორე მხარეს (მხარის

უფლებამოსილ წარმომადგენელს), რაც დასტურდება შესაბამისი ჩანაწერის შესრულებით, სადაც ფიქსირდება მიმღების დასახელება, პირადი ნომერი, ხელმოწერა, თარიღი.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

„ქვემეიჯარე“	„ქვემოიჯარე“
შპს „მონო ჰოლ თბილისი'' (ს/კ404626525), დირექტორი - გაგა ივანაური	შპს „ფრაიდეი“ (ს/კ 405452898) დირექტორი - ვასილ უსენაშვილი
მის: ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. #2 ყოფილი ლეონიძის ქუჩა	მის: ქ.თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპ.#16, ბ. #33
ელ. ფოსტა: kvashilava.davit13@gmail.com	ელ. ფოსტა: info@fryday.ge
ტელ: 592 22 33 00	ტელ: 599 22 77 37